06/02/2024

MES 1 24 0000118550

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 23. 01. 2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი **- საბჭოს თავმჯდომარე;**
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**
4. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
7. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
9. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

11. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დ ო ქ ტ ო რ ი ;
15. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დ ო ქ ტ ო რ ი ;
16. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
17. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
18. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
თემურ თექთუმანიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტი:
საიდ საჰმანი - პროგრამის ხელმძღვანელი;
მერაბ თოფურია - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი;
მეგი ლემონჯავა - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
ქეთევან გეგიაძე - საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი.

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:
ნინო ყურშუბაძე - განათლების ხარისიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი;
მანუჩარ ლორია - ბიზნესის და მართვის ფაკულტეტბის დეკანი, პროფესორი;
რომან მამულაძე - უმაღლესი საგანმანათელბლო პროგრამების მენეჯერი, პროფესორი
მედეა ქავთარაძე - საგანმანათელბლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
მამუკა ბარამიძე - საგანმანათელბლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

გულად თხილაიშვილი - ბიზნესის და მართვის ფაკულტეტბის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

3. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
ნანა შონია - ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერება ფაკულტეტის დეკანი;
თენგიზ კუპრაშვილი - ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამილა არნანია კეპულაძე - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა"ეკონომიკის" ხელმძღვანელი.

4. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი:
გიორგი ჩართოლანი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ანა სამსონაძე - ხარისხის სამსახურის უფროსი;
ნატო გენგიური - ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	საულიუს ვასარევიჩიუსი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თეა ნარეკლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მარიამ გორგოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	რუსუდან სეთურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მანანა ლობჟანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ლელა წიწუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	მაგდა მემანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	სოსო გაზდელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურა მედიაში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურა მედიაში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
5. “სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანიმაციური კინოს რეჟისურის და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1782932 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
6. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხმის რეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783039 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
7. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783104 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
8. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783241 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

9. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინო-ტელე ოპერატორის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783353 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
10. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783519 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
11. “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “კონფლიქტოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის N 54355 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732 სამშენებლო და სამოქალაქო ინჟინერია
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას ქ. 77ა, საქართველოს უნივერსიტეტის IV კორპუსი, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, საულიუს ვასარევიჩუსი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა კარგად არის შემუშავებული, თუმცა არის გარკვეული ასპექტები, რომლებიც საჭიროებს გამოსწორებას. მისი თქმით, სასწავლო მოდულში არ არის მრავალფეროვნება იმიტომ, რომ ყველა კურსს დათმობილი აქვს 6 კრედიტი. გარდა ამისა, ლაბორატორია ვერ ფერავს ყველა სფეროს. პროგრამაზე სულ 3 აკადემიური პერსონალია, რომელიც ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გარკვეული ცვლილებების განხორციელება უკვე დაიწყო პროგრამაზე. საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს კარგი სტრატეგია როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის დაფინანსებისა და ხელშეწყობის მხრივ. საქართველოს უნივერსიტეტი საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს. მისი თქმით, დაწესებულება იწვევს უცხოელ პროფესორებს პროგრამაზე, რაც მისასალმებელია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ის 3 აკადემიური პერსონალი, რომელიც ამჟამად კითხულობს ლექციებს პროგრამაზე, უცხოელები არიან. საულიუს ვასარევიჩუსმა აღნიშნა, რომ პროგრამა სტუდენტს აძლევს ხარისხიან განათლებას დარგში ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის ხელმძღვანელი, საიდ საჰმანი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, რამდენიმე რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია, კერძოდ კრედიტების რაოდენობა შეიცვალა, გაიზარდა ლაბორატორიული სწავლება 9 კრედიტამდე და ზოგიერთი საგანი შემცირდა ექვსიდან სამ კრედიტამდე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დაიწყო მოლაპარაკებები როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ არსებულ უნივერსიტეტებთან სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების მიზნით. სილაბუსებში ყურადღება გამახვილებულია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე. გარდა ამისა, სილაბუსებში გათვალისწინებულია კომპიუტერული პროგრამები. პერსონალის რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ დაიწყო აღნიშნულ საკითხზე მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ეროვნულ გამოცდებზე საქართველოს უნივერსიტეტს აქვს თუ არა განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უცხო ენაში. გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულებას სჭირდება აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა. პროგრამაზე 11 აფილირებული პროფესორია. მას აინტერესებდა, რა მიმართულებით უნდა გაზარდოს დაწესებულებამ აკადემიური პერსონალის რაოდენობა. საერთაშორისო ექსპერტმა საულიუს ვასარევიჩუსმა განაცხადა, რომ მხოლოდ სამოქალაქო ინჟინერიის კურსების მიმართულებით უნდა გაზარდოს დაწესებულებამ აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან გეგიაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ეს პროგრამა ამ ეტაპზე გათვალისწინებული აქვს მხოლოდ საერთაშორისო სტუდენტებისათვის. დაწესებულება ახლო მომავალში გეგმავს ქართველი სტუდენტებისათვის პროგრამაზე მიღების გამოცხადებას. პროგრამის ხელმძღვანელმა, საიდ საჰმანმა აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტს ეროვნულ გამოცდებზე აქვს განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უცხო ენაში.
საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაზე მიღების ძირითად მოთხოვნებში მითითებულია „FC certificate“-ი. მას აინტერესებდა, რატომ არ არის პროგრამაზე მიღების ძირითად მოთხოვნებში სხვა სერტიფიკატები მითითებული უცხო ენის დონის დასადასტურებლად.
საიდ საჰმანმა აღნიშნა, რომ პროგრამაში მითითებულია ინგლისური ენის დონე. იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე მიღების მსურველს აქვს „FC certificate“-ი, მან უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტში გამოცდა B2 დონეზე. ქართველი სტუდენტებისათვის უცხო ენის დონე განისაზღვრება ეროვნული გამოცდების შედეგებით ან გასაუბრებით. საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, დაწესებულება რა ვადაში შეძლებს ლაბორატორიული პრობლემის მოგვარებას.
ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა პროგრამის ხელმძღვანელს. მას აინტერესებდა, რა თანამედროვე ტექნოლოგიებს სწავლობენ სტუდენტები და რამდენად შეძლებენ ისინი ამ კურსით სწავლის შედეგზე გასვლას.
საიდ საჰმანმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები დაწყებულია სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და სამშენებლო კომპანიებთან ლაბორატორიული პრობლემის გადაჭრის მიზნით. ამ ეტაპზე ლაბორატორიებში არსებული აღჭურვილობა საკმარისია პროგრამის განსახორციელებლად. მისი თქმით, დაწესებულებას აქვს კომპიუტერული კლასები, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ კომპიუტერებთან და გამოიყენონ საჭირო პროგრამები.
საერთაშორისო ექსპერტმა საულიუს ვასარევიჩიუსმა აღნიშნა, რომ ძნელია ლაბორატორიული პრობლემის გადაჭრისთვის ზუსტი დროის განსაზღვრა. ლაბორატორიებში არსებული აღჭურვილობის შეძენა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. დაწესებულებას სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გზით შეუძლია უზრუნველყოს ამ უნივერსიტეტებში ლაბორატორიული სამუშაოების წარმართვა.
საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას 3 მემორანდუმი აქვს გაფორმებული ირანის ისლამური რესპუბლიკის სამშენებლო კომპანიებთან, სადაც საუბარია კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებზე, თუმცა მასში არ ჩანს სად გაივლიან კურსდამთავრებულები პრაქტიკას. მას აინტერესებდა, სად გაივლიან პროგრამის კურსდამთავრებულები პრაქტიკას აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის ხელმძღვანელმა, საიდ საჰმანმა აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტს 3 მემორანდუმი აქვს გაფორმებულ მსხვილ სამშენებლო კომპანიასთან, რომლის ძირითადი მიზანია წარმატებული კურსდამთავრებულების დასაქმება აღნიშნულ კომპანიებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:55
დასრულების დრო: 15:24

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტი სამოქალაქო ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31/12/2026) ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “სამოქალაქო ინჟინერიის“ ინგლისურენოვან საბაკალავროსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით,2026 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
რეკომენდაციები:

- რაც შეეხება სასწავლო გეგმის თანმიმდევრობას, სასურველია გაძლიერდეს სამშენებლო მასალებისა და ბეტონის ტექნოლოგიის ლოგიკური პროგრესია. სამშენებლო მასალებს, რომელიც ამჟამად მე-3 სემესტრში ისწავლება, შეიძლება მოჰყვეს ბეტონის ტექნოლოგია მე-4 სემესტრში, რაც უფრო თანმიმდევრულ სახეს მიიღებს.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტები კურსის მოცულობიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე.
- უნდა გასწორდეს თვითშეფასების დოკუმენტში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომა, სადაც პროგრამის ძირითადი საგნებისთვის შეცდომით არის მითითებული 192 ECTS ნაცვლად 198 ECTS კრედიტისა.
- რეკომენდებულია, პროგრამის დაშვების წინაპირობაში გაიზარდოს საერთაშორისო სერტიფიკატების რაოდენობა, რომელთა აღიარებით აპლიკანტებს საშუალება მიეცემათ საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების გარეშე გახდნენ პროგრამის სტუდენტები.
- გარდა ამისა, რეკომენდებულია ბეტონის ნაზავის დიზაინის ძირითადი კომპონენტი, ცემენტი, ჩართული იქნეს სამშენებლო მასალების კურსში. ეს კორექტირება შეესაბამება სახელმძღვანელოს მე-5 ნაწილს (გვერდები 144 - 180). იმის გათვალისწინებით, რომ ბეტონის დიზაინი ისწავლება სამშენებლო მასალების კურსის მე-6 და მე-7 კვირაში, „პორტლანდ“ ცემენტის წინასწარ გააზრება გადამწყვეტია იმისთვის, რომ სტუდენტები

ეფექტურად ჩაერთონ ბეტონის დიზაინში. ამის ხელშესაწყობად სასურველია ამ ორი დისციპლინის შინაარსის შესაბამისობაში მოყვანა მითითებული გაიდლაინების მიხედვით.

- ახლა ყველა სასწავლო კურსს აქვს 6 კრედიტი. სასურველია, სამომავლოდ უფრო მნიშვნელოვან სასწავლო კურსებზე (მაგალითად, საკურსო პროექტებზე) გამოიყოს 9 კრედიტი, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანს შეიძლება მიენიჭოს 3 კრედიტი.
- სტუდენტების კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, სამოქალაქო ინჟინერიის სფეროში უფრო მეტ დაწესებულებებთან დაამყარეთ ურთიერთობა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.
- რეკომენდებულია დამატებითი პრაქტიკული კომპონენტების შემოტანა საინჟინრო კვლევის (CENG1001) სასწავლო კურსში და საველე სამუშაოების გაფართოვება კურსის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. ამ კორექტირების მიზანია, გაზარდოს პრაქტიკული სწავლის გამოცდილება და უზრუნველყოს კურსის კონცეფციების უფრო ყოვლისმომცველი გააზრება.
- რეკომენდებულია უფრო პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირება სამოქალაქო ინჟინერიის ნახაზის (CENG1031) სასწავლო კურსში, ისეთი თანამედროვე აპლიკაციების გამოყენებით, როგორიცაა პროექტირების ავტომატიზირებული სისტემა (Compter Aided Design), მათ შორის ისეთი პროგრამა, როგორიცაა AutoDesk. სასწავლო პროგრამის ამგვარი გაძლიერება სტუდენტებს შესძენს პრაქტიკულ გამოცდილებას და გააცნობს თანამედროვე ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს უფრო პრაქტიკულ და შესაბამის სასწავლო გამოცდილებას.
- რეკომენდებულია „Capstone Project“-ის სასწავლო კურსის შეფასება საქართველოში არსებული რეგულაციების შესაბამისად, სადაც შუალედური და დასკვნითი შეფასებები იქნება ინკორპორირებული. გარდა ამისა, სასურველია ჩამოყალიბდეს წინასწარ განსაზღვრული შეფასების კომპონენტები, მეთოდები, კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის.
- რეკომენდებულია სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ საშუალება მისცეს სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადაწყვიტოს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიმართულებით აკადემიური პერსონალის დამატების საკითხი.
- საქართველოს უნივერსიტეტის ლაბორატორიული აღჭურვილობა შეზღუდულია. ამ შეზღუდვის დასაძლევად, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმოს რომელიმე აკრედიტებულ ლაბორატორიასთან ან ითანამშრომლოს სხვა უნივერსიტეტის ლაბორატორიასთან, რათა შესაძლებელი გახდეს სრული ლაბორატორიული მომსახურებით სარგებლობა.

რჩევები:

- სასწავლო პროგრამის დაწყების შემდეგ ჩატარდეს გამოკითხვები შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიონალური ასოციაციები და ა.შ.) პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ.
- მუდმივად განაახლეთ საგანმანათლებლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურის წყაროები.
- მნიშვნელოვანია განავითაროთ მჭიდრო თანამშრომლობა უფრო მეტ პოტენციურ დამსაქმებელთან.
- უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს კავშირები Erasmus-ის ხაზით მეტ პარტნიორ უნივერსიტეტთან (არა მხოლოდ კოშიცეს ტექნიკურ უნივერსიტეტთან).
- უნდა დაზუსტდეს გამოცდების შედეგების შეფასების კრიტერიუმები.

- ბიუჯეტით გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობის (და შემოსავლის) მკვეთრი ზრდა. აუცილებელია იმის დასაბუთება, თუ როგორ მიიღწევა ასეთი ზრდა.
- სასურველია, გაიზარდოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობაპროგრამის შემუშავებაში (განსაკუთრებით სტუდენტების/კურსდამთავრებულების).

15:24 საათზე აკრედიტაციის საბჭო დატოვა ქეთევან ზურაშვილმა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N1172274 13.09.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413 Management and administration
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ბათუმი 6010, რუსთაველის ქ. №53
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი რუსუდან სეთურიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ 2022 წლის 27 სექტემბრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. მისი თქმით, პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაში, ხოლო მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. აკრედიტაციის საბჭოს მიერ განისაზღვრა 10 რეკომენდაცია და 10 რჩევა. მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 12 სექტემბერს დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. დოკუმენტების გაცნობის შემდეგ საკითხების დაზუსტების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა დამატებითი მასალები უნივერსიტეტისაგან. ამრიგად, დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ყურშუბაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, გაცემული რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც განმავითარებელ ხასიათს ატარებდა, ხელს შეუწყობს პროგრამის კიდევ უფრო გაძლიერებას და 2024 წელს კლასტერული აკრედიტაციის წარმატებით გავლას. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინა. მისი თქმით, ორ რჩევაზე მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც კლასტერული აკრედიტაციამდე დასრულდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:34
დასრულების დრო: 15:40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3. მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№1095831, 16/09/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59,
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნანა შონია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული იყო 4 რეკომენდაცია, რომელიც განმავითარებელი ხასიათის იყო. ამრიგად, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა. პროგრამის ხელმძღვანელმა, თამილა კეპულაძემ ექსპერტთა ჯგუფს მადლობა გადაუხადა პროგრამის მიმართ განმავითარებელი რეკომენდაციებისა და რჩევების გაცემისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:10

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურა მედიაში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურა მედიაში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N15470 12/01/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კულტურა მედიაში
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა/ 0321 Journalism and Reporting
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის #19, 0108, საქართველო; თბილისი, აღმაშენებლის #40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა და თინათინ ჭაბუკიანმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მაგდა მემანიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით დაწესებულებამ დიდი სამუშაოები გაწია. მისი თქმით, სწავლის შედეგები დაფორმულირდა ახლებურად და არის გაზომვადი. გარდა ამისა, გამდიდრდა წიგნადი ფონდი კერძოდ, უნივერსიტეტის მიერ შეძენილი იქნა 150 ერთეული წიგნი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაიხვეწა შეფასების სისტემა და გააქტიურდა სტუდენტების ჩართულობა პრაქტიკულ საქმიანობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნატო გენგიური მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა დაწესებულებაში კონსტრუციულ რეჟიმში ჩაირა. დოკუმენტები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა, უნივერსიტეტის მიერ დაუყონებლივ იქნა მიწოდებული. პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩართოლანმა განაცხადა, რომ დასკვნაში მოცემული ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამის მიმართ არცერთი რეკომენდაცია არ არის გაცემული. პროგრამის მიმართ გაიცა მხოლოდ ერთი რჩევა კერძოდ, გაკვეული საგნები უნდა დაემატოს არჩევით კურსებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 16:47

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურა მედიაში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ -

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურა მედიაში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. "სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანიმაციური კინოს რეჟისურის და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1782932 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
6. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხმის რეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783039 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
7. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783104 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
8. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783241 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
9. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინო-ტელე ოპერატორის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783353 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
10. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783519 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
11. "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის N 54355 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა დააყენა შუამდგომლობა შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის №1782932, 1783039, 1783104, 1783241 და 1783353 გადაწყვეტილების დანართებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ ვადის გასვლის თარიღში ნაცვლად 2030 წლისა მითითებულია 2023 წელი, ასევე „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ N 1783104 გადაწყვეტილება - დანართში გასასწორებელია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კერძოდ, საოპერატორო ხელოვნების ბაკალავრი უნდა იყოს აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრის ნაცვლად.
ასევე "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ"

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის N 54355 გადაწყვეტილების დანართში გასასწორებელია აკრედიტაციის ვადის გასვლით თარიღი. მითითებული უნდა იყოს 2028 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს სურდათ თუ არა რაიმე საკითხის დაზუსტება. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:05
დასრულების დრო: 17:15

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: “სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანიმაციური კინოს რეჟისურის და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1782932 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, “სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანიმაციური კინოს რეჟისურის და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1782932 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს: 2030 წლის 15 დეკემბერი

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხმის რეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783039 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ ;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხმის რეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის

აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783039 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს: 2030 წლის 15 დეკემბერი

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783104 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის 7. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783104 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს: 2030 წლის 15 დეკემბერი, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: "საოპერატორო ხელოვნების ბაკალავრი".

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783241 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 8. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783241 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს: 2030 წლის 15 დეკემბერი

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინო-ტელე ოპერატორის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783353 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 9. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინო-ტელე ოპერატორის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783353 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს: 2030 წლის 15 დეკემბერი

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: 10. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783519 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის 10. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783519 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს: 2030 წლის 15 დეკემბერი

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “კონფლიქტოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის N 54355 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის N 54355 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს: 2028 წლის 31 დეკემბერი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი